



## საქართველო პასუხისმგებელია თბილისის ელექტროსადგურის დაბინძურების შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემებზე

გამოქვეყნებულია 2017 წლის 13 ივლისს

[დღეს საქართველოს ორმა მოქალაქემ გაიმარჯვა ევრო სასამართლოში ადამიანის უფლებათა დაცვის განხრით და დაამტკიცეს, რომ საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია ჰაერის დაბინძურებაზე, რომელიც გამოწვეულია ელექტროსადგურის მიერ და რომელიც მდებარეობს საცხოვრებელი სახლებიდან მხოლოდ ოთხ მეტრში.](#) მომჩივანი მხარის წარმომადგენელი გახლდათ ევროპის ადამიანის უფლებათა ადვოკატების ცენტრი (EHRAC), რომელიც დაფუძნებულია [მიდლსექსის უნივერსიტეტში](#) და [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში](#) (თბილისი)

ოთარ გურეშიძე და ლიანა ალავიძე ელექტროსადგურთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომელიც საცხოვრებელ სახლებთან ძალიან ახლოსაა განლაგებული, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში წააწყდნენ, როდესაც სადგურის აფეთქებამ სერიოზული ზიანი მიაყენა ახლომდებარე შენობებს და მის მცხოვრებთ. სადგურის დინამომეტრი იწვევდა ხმაურს, ტერიტორიაზე გამოიყოფოდა კვამლი და ორთქლი. კვლევებმა გვიჩვენეს, რომ დიოქსიდის, ნახშირბადის მონოქსიდის და აზოტის ოქსიდის დონე აჭარბებს დაშვებულ ლიმიტს და ხანდახან მნიშვნელოვნადაც.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერია და შრომის სამინისტრო ადასტურებენ, რომ ახლომდებარე შენობაში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები და გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს ელექტროსადგური, სასამართლოები არ დაეთანხმნენ იმ მოსაზრებას, რომ დაავადებათა გამომწვევი მიზეზი ჰაერის დაბინძურება იყო და არ მოსთხოვეს ელექტროსადგურს შეეწყვიტა ჰაერის დაბინძურება. უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო ზომები, რომელსაც შეეძლო ზიანის ხარისხი შეემცირებინა, მაგალითად მოეთხოვათ ფილტრების დაყენება, ან აეკრძალათ სადგურის მუშაობა, ან მოეთხოვათ სადგურის სხვა, უსაფრთხო ადგილას გადატანა, ან მიეღოთ რაიმე ზომები გარშემო არსებული გარემოს დასაცავად. ამის ნაცვლად სადგურს დაეკისრა მხოლოდ ფინანსური ანაზღაურება კომპენსაციის მიზნით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ დაარღვია კერძო და საცხოვრებელი სახლის პატივისცემის უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე -8 მუხლი). მან დაამტკიცა, რომ სახეზე იყო „ნორმატიული ბაზების ფაქტობრივი არარსებობა“, რაც ნიშნავს იმას, რომ ელექტროსადგური მდებარეობს საცხოვრებელ სახლებთან ახლოს და ფუნქციონირებს ყოველგვარი აუცილებელი გარანტიების გარეშე. შეფასებისას, მოქმედებდა თუ არა სახელმწიფო კანონის დაცვით, დადგინდა, რომ სახელმწიფოს არ წარმოუდგენია ეკოლოგიური კვლევის არანაირი დოკუმენტი:



*“იმ დროს, როდესაც გაირკვა, რომ ნორმატიულ ბაზაში ხარვეზებია, რადგანაც პრაქტიკულად გარემოსდაცვითი არავითარი რეგულაციები არ განხორციელებულა, სადგურმა მუშაობა დაიწყო შესაბამისი კანონების და წესების მიღებამდე. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებდა მთავრობის პასიურობის შედეგად მიღებული დაბინძურებული ჰაერი, რომლის შესახებაც ახლომდებარე სახლების ბინადრები საუბრობდნენ და რომლებიც რიგ შემთხვევებში დაზარალებდნენ.”*

პარაგრაფი 77

მთავრობამ არ დააწესა თანაბარი და სამართლიანი ბალანსი საზოგადოების ინტერესებს და იმ პირებს შორის, რომელთაც ელექტროსადგურის სიახლოვეს ცხოვრება ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ბატონ გურემიძეს და ქალბატონ ალავიძემ კომპენსაციის სახით 4,500 ევრო გადაეცათ.

ეს საქმე ეფუძნება EHRAC-ის [მიერ წარმართულ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ადრინდელ საქმეებს](#), მათ შორისაა [ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ](#) და [ლეხედევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ](#). ორივე მათგანის საქმე სასამართლოს ჩარევით გადაწყდა.